შპს ქ. თბილისი საშუალო სკოლა ლამპარის

2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში

21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების გამომუშავების და არაფორმალური განათლების კუთხით სკოლის სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე მიზნად დავისახეთ სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელება, კერძოდ სასკოლო პროექტები „ჩვენ და გარემო“ და „დედამიწა ჩვენი სახლია„. პირველ პროექტში ჩართული იყო ყველა კლასი დაწყებითი და საბაზო საფეხურიდან, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა არა ერთი საინტერესო აქტივობა. პროექტის მიზანი იყო, მოსწვლეებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაღვივება, მათი აქტიური ჩრთულობა გარემოს დაცვის საქმეში; მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გაიაზრონ გარემოს სისუფთავის აუცილებლობა, რამდენად ღირებულია თითოეული ადამიანის როლი გარემოზე ზრუნვის საკითხში, და ისწავლონ ელემენტარული წესების დაცვა; პროექტი განხორციელდა წარმატებით. დასკვნით ეტაპზე მოსწავლეებმა სასკოლო საზოგადოების წინაშე დემონსტრირება გაუკეთეს პროექტის მიმდინარეობისას შეძენილ ცოდნას და უნარ-ჩვევებს. იმსჯელეს პროექტის ფარგლებში გაწეულ სამუშაოზე და მის შედეგებზე. მათ გაითავისეს რომ გარემოზე ზრუნვა თვითოეული მათგანის ვალია.

რაც შეეხება მეორე პროექტს, აღნიშნული განხორციელდა მეხუთე კლასებში. ამ პროექტის მიზანი იყო მოსწავლეებს გაეაზრებინათ, რომ დედამიწა ჩვენი საერთო სახლია, სიცოცხლის წყაროა და მას გაფრთხილება სჭირდება. გაეცნობიერებინათ მოქალაქეობრივი მოვალეობა და მათი წვლილი დედამიწის დახმარების საყოველთაო საქმეში, რა ნაბიჯები შიძლება გადადგან ბუნების გაფრთხილების მიმართულებით. ასევე ესეგესთან კავშირში ამ პროექტის მიზანი იყო პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება. ასევე დედამიწის სტრუქტურის განმსაზღვრელ და რელიეფის ცვლილების გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობა.

პროექტის „თბილისის ინფრასტრუქტურული საკითხები“ მიზანი იყო თემში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების იდენტიფიცირება და მოსწავლეების მიერ მათ გადაჭრაზე ზრუნვა ადვოკატირების მეთოდის გამოყენებით. მოსწავლეების ჩართულობა თემში არსებული ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემების მოგვარებაში. პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღბა გამახვილდა შშმ პირებისთვის ამ პრობლემების მნიშვნელობასა და მათი მოგვარების აუცილებლობაზე.

განხორციელდა პროექტის პირველი ეტაპი, რომელიც გულისხმობდა პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზების ძიებას, ასევე მოსწავლეებმა ნახეს ფილმი და გაეცნენ ინფორმაციას და სამართლებრივ საფუძვლებს შშმ პირთა გადაადგილების უფლების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ;

საპროექტო მუშაობა წარიმართა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებითაც. პროექტის სახელწოდებაა „დავეხმაროთ მოსწავლეებს პროფესიის არჩევაში“. პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი შედეგებია ის, რომ მოსწავლეები უკეთ შეიცნობენ საკუთარ პიროვნებას და აღმოაჩენენ მიმართულებებს, რომლებიც მეტად იზიდავთ; გაიაზრებენ საკუთარ მისიას ამქვეყნად; გაერკვევიან პროფესიებში, რომელ სოციალურ ჯგუფთან სურთ საკუთარი თავის მიკუთვნება, რა რეჟმსა და რესურსს მოითხოვს თითოეული პროფესია და რა უნარები და გამოცდილება დასჭირდებათ თვითრეალიზებისთვის. განხორციელდა პროექტის პირველი ნაწილი და აქტუალობიდან გამომდინარე იგეგმება მისი გაგრძელება.

მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარების განვითარების მიზნით სასწავლო პრაქტიკის განხორციელების მიმართულებით 2023 წლის ოქტომბერში ჩატარდა ტრენინგი, რომელიც ემსახურებოდა პედაგოგებში იმის გაცნობიერებას, თუ რამდენად მნიშნელოვანია ყურადღების გამახვილება მოსწავლეებში მრავალფეროვანი უნარების გამომუშავებაზე, მაშინ, როდესაც ცვალებად სამყაროში სულ უფრო და უფრო სწრაფად იცვლება მოთხოვნები, ქრება გარკვეული პროფესიები და ჩნდება ახალი. აქედან გამომდინარე უმნიშნელოვანესია არა კონკრეტული მიმართულებით ცოდნის შეძენა, არამედ ქონდეთ თვითგანვითარების და გამოწვევებთან გამკლავების, ასევე ახლის შეცნობის უნარი, რასაც სჭირდება ფსიქო-ემოციური მდგრადობა. ტრენინგზე ყურადღება გამახვილდა ამ მიმართულებით გაკვეთილის დაგეგმვის დეტალებზე და აქტივობებზე, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ჩამოიყალიბონ მსგავსი ჩვევები და უნარები.

ამ მხრივ მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა მონიტორინგი გაკვეთილზე დასწრების გზით. დაკორექტირდა გაკვეთილზე დასწრების ფორმები, სადაც აღინიშნებოდა მუშაობდა თუ არა პედაგოგი ამ მიმართულებით. წლის ბოლოს კი მოსწავლეებში განხორციელდა გამოკითხვა, თუ რა უნარების გამომუშავებაზე მიმდინარეობს მუშაობა საკლასო სივრცეში, რა უნარებს ფლობენ და რისი გამომუშავება მიაჩნიათ მნიშნელოვნად. ამ აქტივობას უნდა მოჰყოლოდა მეორე გამოკითხვა, რომელიც ემსახურებოდა კონკრეტული პროფესიებისთვის საჭირო უნარების თანხვედრას მათ უნარებთან. ეს გამოკითხვა ვერ განხორციელდა, რადგან დიდი დრო დაგვჭირდა იმ დოკუმენტის მოსამზადებლად, სადაც გაწერილია პროფესიები და მათთვის საჭირო კვალიფიკაცია და უნარები. მაგრამ რადგან ამ აქტივობის განხორციელება იგეგმება ყოველწლიურად, ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას სექტემბერიდან და ვფიქრობთ, მნიშვნელოვან დახმარებას გავუწევთ მოსწავლეებს პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბების კუთხით.

ინდივიდუალურ კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების მიზნით დაიგეგმა პირველ კლასში მოსული მოსწავლეების მზაობის შემოწმება და ყველა მოსწავლის პროგრესის დაკვირვება. 2024 წლის ივნისში განხორციელდა მომდევნო პირველკლასელთა უნარების შემოწმება ფსიქოლოგის მიერ სპეციალური ბარათებითა და ტესტებით. აღნიშნული ტესტირების საფუძველზე საჭიროების მქონე მოსწავლეებთან გაიცა რეკომენდაციები, რათა მშობლები დაეხმარონ ზაფხულის განმავლობაში თავიანთ შვილებს სასკოლო მზაობის თვალსაზრისით.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების/დახასიათების ფორმები, რომელიც გასულ წელს ჩავაშენეთ სქულბუქში. თუმცა მოხდა მისი მოდიფცირება და მასში ყურადღება გამახვილდა სწორედ გლობალურ ფუნქციურ უნარებზე. აღნიშნულ ფორმებში ასევე აისახება მოსწავლეთა ქცევითი თავისებურებები და საგნობრივი კომპეტენციები. ეს ფორმა უნდა შეივსოს ყოველსემესტრულად, რაც საშალებას მისცემს პედაგოგებს, კლასის ხელმძღვანელებს და მშობლებს მარტივად დააკვირდნენ მოსწავლეთა პროგრესს.

ინდივიდუალურ კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლების მიზნით მოსწავლეებს ყოველ აქტივობასთან და შემაჯამებელთან დაკავშირებით ეძლეოდათ ინდივიდუალური უკუკავშირი და განვითარების გზა. ასევე სქულბუქის ზემოთ ნახსენებ ფორმებში აღიწერა მოსწავლეთა ინდივიდუალური კომპეტენციები და განისაზღვრა ინდივიდუალური სასწავლო მიზნები გასული წლის მიღწევებიდან გამომდინარე.

ამ მიმართულებით ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სოციო-ემოციურ უნარ-ჩვევებზე მუშაობა, რომელსაც ფსიქოლოგი დირექციასთან, კლასის ხელმძღვანელებთან და საჭიროების შემთხვევაშ მშობლებთან ერთად წარმატებით უმკლავდება. ამ კუთხით დაიხვეწა და გაუმჯობესდა ქცევითი თავისებურებებით გამორჩეული მოსწავლების დაკვირვების ფორმები და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემის იდინტეფიცირების შემდეგ ხდებოდა ინდივიდუალური კონსულტაციების გაწევა. საჭიროების შემთხვევაში გამოკვლევების ჩატარების მიზნით ხდება უფრო კომპეტენტური სპეციალისტების ან დაწესებულების ჩართვაც, მაგალითად, როგორიცაა ნეიროფსიქოლოგიის ცენტრი ან სხვა.

მოსწავლეთა უწყვეტი მხარდაჭერის მექანიზმის შექმნის მიზნით მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მათი აქტივობების აღწერა და თავმოყრა. ამ მიზნით შეიქმნა მოსწავლის პორტფოლიოს ნიმუში, სადაც აღიწერება მოსწავლის ყველა მნიშვნელოვანი აქტივობა და წარმატება, რაც ხელს შეუწყობს მათი შესაძლებლობების იდენტიფიცირებას. აღნიშნულ პორტფოლიოში ყოველი სემესტრის ბოლოს ჩაიდება სქულბუქის განმავითარებელი ფორმებიც, რომელიც ასახავს მოსწავლის პროგრესს/რეგრესს და მოგვცემს საშუალებას მოვახდინოთ სწორი რეაგირება უკუსვლის შემთხვევაში.

რაც შეეხება უწყვეტი მხარდაჭერის მიზნით განხორციელებულ პროფესიული ორიენტაციის აქტივობებს, დოკუმენტის დასაწყისში აღვწერეთ პროექტის დეტალები. რაც შეეხება სხვა აქტივობებს, ამ მიზნით დაიგეგმა სხვადასხვა დაწესებულებებში ვიზიტები და პროფესიების ადგილზე გაცნობა, რომელიც წარმატებით განხორციელდა. კერძოდ, გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს პროფესიული განვითარების ასოციაციას professional development Association და სკოლას შორის. მემორანდუმის მიზანია, პროფესიული განვითარების ასოციაციასა და სკოლა „ლამპრს“ შორის თანამშრომლობა ახალგაზრდების და მასწავლებლების პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

მემორანდუმის ფარგლებში არა ერთი საინტერესო შეხვედრა მოეწყო და შედგა. მემორანდუმი გაფორმდა ასევე სკოლასა და „პროფესიული ორიენტაციის და განვითარების საერთაშორისო ცენტრს“ შორის. PDA -ს მოწვეულმა ლექტორმა ანი ჩაგველიშვილმა სკოლაში ჩაატარა ლექცია

პროფესიული თვითგამორკვევა და საჯარო მმართველობა. შეხვედრამ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა.

ექსკლუზიურად PDA -სთან პარტნიორობით, სკოლა ლამპარის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის, სამკურნალო საშუალებების ლაბორატორია- გლობალ ტესტში ღია კარის დღე მოეწყო. მოსწავლეებს და მათ პედაგოგს მეგზურობა ლაბორატორიის დირექტორმა ნინო ჯინჯოლავამ გაუწია და ახალგაზრდებს შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა სიღრმისეულად გააცნო. დაათვალიერეს ტექნიკური აღჭურვილობა, გააცნეს თვითოეული მათგანის მნიშვნელობა და კითხვა-პასუხის რეჟიმში გამართეს დიალოგი.

სამოქალაქო განათლების პედაგოგის ანა თვაურის ინიციატივით სკოლას ესტუმრა ექსპერტ-კრიმინალისტი, კრიმინალისტიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მალხაზ ჩიტაია. მისი დახმარებით, პრაქტიკული აქტივობით მოსწავლეებმა მოირგეს კრიმინალისტების როლი და აიღეს თითის ანაბეჭდები. განიხილეს რამდენიმე აქტუალური და გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე. მოსწავლეებში საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია. აქტივობის მიზანი პროფესიული ორიენტაციის მიმართულება გახლდათ.

 უნივერსიტეტმა ალტერბრიჯი პროფესიული განვითარების ასოციაციასთან ერთად გამართა ღია კარის დღე. საინფორმაციო შეხვედრასთან ერთად, უნივერსიტეტის რექტორი, ნათია გოცაძე გაუძღვა პროფორიენტაციის ტრენინგს, რომელიც უკვე არაერთ აბიტურიენტს დაეხმარა სწორი, არჩევანის გაკეთებაში. მოსწავლეებს, სკოლის დირექტორებსა თუ პედაგოგებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ პროფორიენტაციის კუთხით არსებული უნიკალური შეთავაზებები უშუალოდ პროფესიული განვითარების ასოციაციის დამფუძნებლებისგან.

ემოციური ინტელექტის სკოლისა და პროფესიული ორიენტაციის ცენტრის კოლაბორაციით, ჩატარდა შეხვედრა ახალგაზრდა თაობასთან, რომელთა შორის ჩვენი სკოლის მოსწავლეებიც იყვნენ. ტრენინგის თემა იყო: როგორ უნდა ვმართოთ ემოციები ჩვენივე სასიკეთოდ. მოსწავლეები ტრენინგიდან დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ, რის შემდგომ სკოლის თვითმმართველობის ინიციატივით შეიქმნა ტრენინგ ჯგუფი რომელმაც უფროსკლასელ მოსწავლეებს ჩაუტარა ანალოგიური ტრენინგი.

,,სკოლა ლამპარის” მე-9(1), მე-9(2) და მე-11 კლასები პროფ. ორიენტაციის მიზნით დამრიგებლებთან ერთად ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს ესტუმრნენ. მოსწავლეებმა მოისმინეს კოლეჯის დაარსების ისტორია და მოინახულეს თითოეული აუდიტორია, სადაც პრაქტიკული მუშაობა მიმდინარეობს კოლეჯში არსებულ სხვადასხვა პროგრამაზე. შეხვედრამდე სკოლის თვითმმართველობის ინიციატივით ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით დაიგეგმა და ვიზიტის დასასრულს გაიმართა ამხანაგური შეხვედრა მინი ფეხბურთში.

პროფორიენტაციის მიმართულებით ჩვენი სურვილი იყო მოსწავლეთა მოკლევადიანი სტაჟირებების განხორციელება, რომელიც მათ დაეხმარება პრაქტიკული სამუშაოების შესრულების მეშვეობით აღიქვან ამა თუ იმ პროფესიის ადამიანს რა ტიპის აქტივობების განხორციელება უწევს ყოველდღიურ რეჟიმში. თუმცა, მემორანდუმების გაფორმება ამ

მიმართულებით და მსურველი ორგანიზაციების მოძიება ვერ მოხეხრდა სხვადასხვა მიზეზების გამო. ამ მიმართულებით გავაახლებთ მუშაობას სექტემბრიდან და აღნიშნული გაიწერება მომდევნო წლის გეგმაში.

წინსვლისთვის და მუდმივი გაუმჯობესებისთვის უმნიშვნელოვანესია განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა მოსწავლეებსა და პედაგოგებში. ეს გულისხმობს მუდმივ მინოტორინგს საკუთარი ან ერთმანეთის გაწეულ სამუშაოზე და განმავითარებელი უკუკავშირის გაზიარება, ან გაუმჯობესების გზების ძიება.

ამ კუთხით სკოლა მნიშვნელოვან დატვირთვას ანიჭებს მოსწავლეებისა და პედაგოგების თვითშფასების წარმოებას. მოსწავლეებმა შეავსეს ხარისხის ჯგუფის მიერ შექმნილი თვითშფასების კითხვარი, თუმცა ამასთან ერთად ისინი საგაკვეთილო პროცესში და შემაჯამებელ დავალებებთან ერთად აკეთებდნენ თვითშფასებას კონკრეტულ მიზნებთან და აქტივობების შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებაში.

რაც შეეხება პედაგოგებს, ხარისხის მართვის ჯგუფმა შეიმუშავა პედაგოგის თვითშფასების კითხვარი, სადაც გათვალისწინებულია პედაგოგის მუშაობის ყველა ასპექტი და წლის ბოლოს ყველა პედაგოგმა შეავსო აღნიშნული კითხვარი.

რაც შეეხება მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებას, როგორც აღვნიშნეთ, პედაგოგები მუდმივად აძლევენ მოსწავლეებს განმავითარებელ უკუკავშირს როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე შემაჯამებელი დავალებების შემდეგ, განსაკუთრებით კი დაბალი შეფასების მქონე მოსწავლეებს.

ამ კუთხით მონიტორინგი მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესზეც. დაკვირვების ფორმებში შეტანილია მასწავლებლის მიერ უკუკავშირის გამოყენება. თავად ეს დაკვირვების ფორმები მოიცავს სხვა მნიშვნელოვან ასპექტებსაც, როგორიცაა გამოყენებული მეთოდები, მიზნის შესაბამისი მრავალფეროვანი, უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული აქტივობები, მათი ესეგესთან შესაბამისობა, შეფასების კრიტერიუმები, ტექნოლოგიების გამოყენება. ფორმებს თან ახლავს რეკომენდაციების ველი, რომელსაც მასწავლებელი ხელს აწერს გაცნობის შემდეგ.

მოსწავლეთა ქცევითი რეგულაციების მიზნით შეიქმნა ფორმალური სტრუქტურა მოსწავლეთა ზრუნვის სამსახური, რომლის წევრებიც არიან სკოლის ფსიქოლოგი, დირექტორი და კლასის ხელმძღვანელები. ჯგუფის შექმნის მიზანი გახლავთ დაეხმაროს ნებისმიერ მოსწავლეს სკოლაში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში. ეს შეიძლება იყოს კონფლიქტი თანატოლთან, სკოლის შიგნით თუ მის გარეთ არსებული სიტუაციიდან გამოწვეული პრობლემები, რაც ხელს უშლის მოსწავლეს რეალიზდეს სასკოლო ცხოვრებაში; სწავლის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები, ქცევითი დარღვევები და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებით მოხდა ამ ჯგუფის შექმნა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა დებულებისა და სამოქმედო გეგმების დამუშავება, ამიტომ ამ ჯგუფის ამოქმედება გადაიდო 2024 წლის სექტემბრისთვის.

მოსწავლეთა ქცევითი რეგულაციების თვალსაზრისით უმნიშნელოვანესად მივიჩნიეთ შინაგანაწესში უფრო დეტალურად გაიწეროს დისციპლინური პასუხისმგებლობის წახალისების მექანიზმები. ეს ცვლილებები შევიდა შინაგანაწესში და დამტკიცდა ბრძანებით.

ქცევითი პრობლემების მონიტორინგის მიზნით გაუმჯობესდა სპეციალური ფორმები, სადაც დეტალურად აღიწერება მოსწავლის ქცევა, ოჯახისგან მოწოდებული ინფორმაცია, მისი ჯანმრთელობის, თუ სწავლის პროცესში წარმოქმნილი პრობლემები. ეს ფსიქოლოგს დაეხმარება ზოგადი სურათის დანახვაში, რის საფუძველზეც გაუწევს რეკომენდაციებს მშობლებსა და პედაგოგებს.

მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მიზნით წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლებმა გეგმებში გაწერეს ღონისძიებების და ექსკურსიების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები. თუმცა გეგმების ცვლილება შესაძლებელია ახალი გარემოებების, ან მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული გეგმების განხორციელების დეტალები წარმოდგენილია დამრიგებლების ანგარიშებში.

რაც შეეხება სკოლის პარტნიორულ ურთიერთობებს გარე ორგანიზაციებთან, როგორც აღვნიშნეთ, განხორციელდა არაერთი ასეთი თანამშრომლობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით, თუმცა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა სტრაჟირების მიზნით ასეთი ორგანიზაციების მოძიება და დამეგობრება.

ასევე, ვერ მოხერხდა ოფიციალური პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ორგანიზაციებთან, მოსწავლეთა ქცევითი რეგულაციების მიზნით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ვამისამართებთ ჩვენ მოსწავლეებს გაგოშიძის სახელობის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრთან სხვადასხვა დამატებითი კვლევევების და ოფიციალური რეკომენდაციების მიღების მიზნით. ასევე ბავშვთა ფსიქოლოგიის მომსახურების ცენტრთან „სივრცენი“ მთელი წელი ვმუშაობდით ერთ-ერთი ჩვენი მოსწავლის ქცევის კორექციაზე. არაერთხელ მოხდა ერთობლივი გასაუბრება კლასის ხელმძღვანელის, სკოლის ფსიქოლოგის, ცენტრის ფსიქოლოგისა და ქცევითი თერაპევტის. აღნიშნული მოსწავლის მდგომარეობა აშკარად უმჯობესდება და შესაძლოა განვიხილოთ აღნიშნულ ცენტრთან მემორანდუმის გაფორმება.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ურთიერთობა გვაქვს English Book Education-თან, რომელიც ყოველწლიურად უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას სხვადასხვა მიმართულებით. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი სურვილის მიუხედავად ტრენინგის თემატიკა, რისი სურვილიც დააფიქსირეს პედაგოგებმა (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით) მასწავლებელთა სახლმა ვერ შემოგვთავაზა. ასევე ვთხოვეთ სხვა სახის ტრენინგების ჩატარება, მაგრამ სამწუხაროდ მათი მხრიდან ამის უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა.

ოჯახის ჩართულობის და მოსწავლეთა ზრუნვის მიზნით ფსიქოლოგის მიერ დაიგეგმა მშობლებთან პერიოდული შეხვედრები მშობლებისთვის საინტერესო თემების განხილვის მიზნით. ასეთი მინიმუმ სამი შეხვედრა იყო დაგეგმილი წლის განმავლობაში, თუმცა, მხოლოდ ორის ჩატარება მოხერხდა. ერთი შეხვედრა ეხებოდა მოზარდებისა და გაჯეტების ურთიერთობას და ყურადღების კონცენტრაციას, მეორე კი - მოტივაციას და თვითმოტივაციას. სამწუხაროდ, სხვა შთავაზებული შეხვედრების ორგანიზება

ვეღარმოხერხდა, რადგან საჭიროებიდან გამომდინარე გადავედით ზოგიერთი კლასის მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე.

პროცესებში მშობლეთა ჩართულობის მიზნით, წლის ბოლოს განხორციელდა მშობელთა კმაყოფილების კვლევა. გაკეთდა კითხვარის ანალიზი, რის საფუძველზეც ცვლილებები შევა მომდევნო წლის გეგმებში და სასკოლო კურიკულუმში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელი წლის განმავლობაში გაკვეთილებზე დასწრების და კურიკულუმების განხორციელებაზე მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, კონსულტაციები მიმდინარეობდა პედაგოგებთან. ზოგ შემთხვევაში ამას ჰქონდა ინდივიდუალური ფორმა, ზოგჯერ კი ჯგუფური საგნობრივი კათედრების მიხედვით, თუ საკითხები ზოგადად საგნის სწავლებას ეხებოდა.

ყოველი ასეთი შეხვედრა მიმართულია სწავლებისკენ და გაუმჯობესებისკენ. მნიშვნელოვანია უკუკავშირის დროს დადებითი ასპექტების გამოყოფა პედაგოგების წახალისებისა და შიდა ძალების გააქტიურების მიზნით, ასევე წარმატებული პრაქტიკის გაზიარების კუთხით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარდა კვლევები პედაგოგების და ასევე ტექნიკური პერსონალის. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გამოკვეთილ საკითხებთან დაკავშირებით საჭირო გახდა გარკვეული დაზუსტებები, რაც ინდივიდუალურად გავიარეთ პედაგოგებთან და ვიმუშავეთ მათ გადაჭრაზე. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც მომდევნო წლის გეგმაში უნდა გაიწეროს არის კლასებში პროექტორების დამონტაჟება, რადგან აღმოჩნდა, რომ პედაგოგებს გაკვეთილზე დიდ დროს ართმევს პროექტორის მიერთება კლასში განთავსებულ კომპიუტერთან.

ასევე გამოკითხვების შედეგად წახალისების მექანიზმებთან დაკავშირებით გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომელიც საჭიროებს დაზუსტებას შინაგანაწესში.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ საკითხებს, სკოლა მუდმივად ზრუნავს ახალი შენობის მოძიებაზე, თუმცა ეს იმდენად მასშტაბური საკითხია, სანამ ეს გადაწყდება აუცილებელი გახდა დროებით მფლობელობაში არსებული ფართის რეკონსტრუქცია და ფართის ეფექტურად ათვისება. ამიტომ ივნისში დაიწყო სარემონტო სამუშაოები მესამე სართულზე, სადაც განთავსდება შედარებით მრავალრიცხვოვანი კლასები.

სპორტული აქტივობების განხორციელების მიზნით, უმნიშნელოვანესია დამატებითი ფართის მოძიება, რადგან არსებული შიდა სპორტული დარბაზი არ იძლევა ბევრ შესაძლებლობას. ამ მიზნით მოლაპარაკება გვაქვს შენობის მეიჯარესთან სკოლის მიმდებარე ეზოს დროებით სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ აღნიშნული საკითხი ვერ გადაწყდა იმის გამო, რომ საქართველოში არ იმყოფებოდა გადაწყვეტილების მიმღები პირი. თუმცა წლის ბოლოს მოხერხდა მასთან შეხვედრა და მივიღეთ დაპირება, რომ იზრუნებენ ამ საკითხის მოგვარებაზე.

ტექნოლოგიების სასკოლო კურიკულუმში ინტეგრაციის მიზნით, წელს სკოლამ შეიძინა კომპიუტერები მესამე სართულზე განლაგებული კლასებისთვის. ამით დასრულდა სკოლაში ყველა კლასის აღჭურვა კომპიუტერით. ასევე შევიძინეთ დამატებითი პორტატული

პროექტორები, რაც ხელს შეუწყობს ტექნოლოგიების შუფერხებელ გამოყენებას საკლასო აქტივობების დროს. გაწეული მონიტორინგის შედეგად (გაკვეთილებზე დასწრება) დადგინდა, რომ მართლაც გაიზარდა ტექნოლოგიების გამოყენების ინტენსივობა, რაც აუცილებლად გააუმჯობესებს სწავლის შედეგებს.

რაც შეეხება ტექნოლოგიების გამოყენებას საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით, სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია სქულბუქის წარმომადგენელთან ელექტრონული ჟურნალის დახვეწის და გაუმჯობესების მიზნით. აღსანიშნავია, რომ პანდემიის შემდეგ ყველა აქტიურად იყენებდა სოციალურ ქსელს როგორც კომუნიკაციის საშუალებას. თუმცა ეს იწვევდა გარკვეული ტიპის პრობლემებს, რადგან სოციალური ქსელში მიმოწერა არაოფიციალური სახისაა. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ ნელ-ნელა სქულბუქთან თნამშრომლობით ჩავანაცვლოთ სოციალური ქსელი და უფრო დახვეწილ პლატფორმაზე გვქონდეს ურთიერთობა თითოეულ მშობელთან. წელს კი წლის ბოლოს დავიწყეთ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვა სქულბუქის პლატფორმაზე. ასევე მუდმივი პროცესია სკოლის ვებ-გვერდის გაახლება და მისი მეშეობით სკოლის შესახებ ავთენტური ინფორმაციის გავრცელება.

ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად და სკოლის გამართული ფუნქციონირებისთვის, რათქმაუნდა, მნიშვნელოვანია ფინანსური მდგრადობა. ამიტომ სკოლის ადმინისტრაცია ყოველ წელს გეგმავს ფინანსურ ბიუჯეტს და ახორციელებს მონიტორინგს და ანგარიშგებას.

ყველა ასპექტი, რომელიც წლევანდელი გეგმის შესრულებაში ხელის შემშლელი გარემოება აღმოჩნდა, გადაინაცვლებს მომავალი წლის გეგმებში.